საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-10/20

ქ. ბათუმი 14 თებერვალი, 2020წ

,,ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 31 იანვრის №01-10/11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლისა და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 31 იანვრის №01-10/11 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. კონკურსანტმა **2020 წლის 5 თებერვლიდან 2020 წლის 21 თებერვლის** ჩათვლით ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ (სტაჟირების გავლის წესით გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული);
ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ) CV;
დ) ცნობა აქტიური სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან სასწავლო ბარათი;
ე) ერთი ფოტოსურათი (3X4);
ვ) ცნობა სოციალური დახმარების მიღების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
ზ) სამოტივაციო წერილი."

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ა. მითაიშვილი